



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2011 წლის 12 იანვრის
№ 383 დადგენილებით
მოდIFIციერებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2013 წლის 8 ოქტომბრის
№ 984 დადგენილებით

სარკინიგზო გადამზიდავი- 040754
Railway Cargo Carrier
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

- I. პროფესიული პროგრამის სახელწოდება: სარკინიგზო გადამზიდავი (Railway Cargo Carrier)
- II. პროფესიული განათლების საფეხური: მეოთხე (Forth)
- III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სარკინიგზო გადამზიდავის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (Railway Cargo Carrier fourth stage professional qualification)
- IV. პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (1 კრედიტი - 25სთ)
სულ 1500 საათი, აქედან:
36 კრედიტი (900 საათი) სასწავლო კომპონენტისთვის. მათ შორის: ლექცია/პრაქტიკული - 420 სთ; დამოუკიდებელი მუშაობისათვის -392 სთ; შუალედური/დასკვნითი შეფასება- 88 საათი.
24 კრედიტი (600 საათი) პრაქტიკის კომპონენტისთვის.
- V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად

VI. პროფესიული პროგრამის მიზანი:
პროგრამის მიზანია მოამზადოს მეოთხე საფეხურის სარკინიგზო გადამზიდავი, რომელსაც შეუძლია: სალიანდაგო პოსტების, ასაქცევების, გადასასწრები პუნქტების, შუალედური სადგურებისა და სალიანდაგო პარკების მუშაობის ორგანიზება და მიმდინარე სატრანსპორტო პროცესების ოპერატიული მართვა.

VII. სწავლის შედეგი:

მისაღწევი შედეგები შესაბამისი კომპონენტების მიხედვით:

ცოდნა და განცობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს	იცის რკინიგზის სადგურის მოწყობილობები და მუშაობის ტექნოლოგია; სამანევრო სამუშაოთა წარმოების წესი სადგურებში; სატვირთო სამუშაოთა განხორციელებისა და სამგზავრო გადაზიდვების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები; საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტზე მატარებლების მოძრაობისა და სამანევრო მუშაობის ინსტრუქციის ძირითადი დებულებები; შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხები; მათემატიკიდან – წარმომადგენელი და დიფერენციალური ტექნიკური მექანიკიდან – მანქანათა ნაწილებისა და მექანიზმების ძირითადი ელემენტები; მეწარმეობიდან – ზოგადი ცნებები მეწარმეობის შესახებ; ინფორმატიკიდან – ინფორმატიკის საფუძვლები; ზოგადი მენეჯმენტიდან – ზოგადი მენეჯმენტის არსი და საფუძვლები საბაზრო ეკონომიკის პირობებში; სატვირთო და კომერციული სამუშაოების მართვიდან რკინიგზის ტრანსპორტზე-სატრანსპორტო მარკირება, ტარიფები და მისასვლელი ლიანდაგების მუშაობის ტექნოლოგია; რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობის მართვიდან – რკინიგზის სადგურების, მისი ქვესისტემები და ცალკეული პოლიგონები; რკინიგზის სადგურები და კვანძებიდან – ტექნიკური სადგურების სალიანდაგო განვითარების სქემები; რკინიგზის ტექნიკური ექსპლუატაციის წესებიდან – უშუალოდ მატარებელთა მოძრაობასთან დაკავშირებული რკინიგზის ტექნიკური ექსპლუატაციის წესების ძირითადი დებულებები.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების	შეუძლია, სამუშაოს და გეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი	უზრუნველყოფს სადგურებში სამატარებლო და სამანევრო მუშაობას და პასუხისმგებელია მის შესრულებაზე; ამყარებს ოპერატიულ კავშირებს მეზობელი სადგურის მორიგესთან, სამატარებლო დისპეტჩერთან, სამატარებლო და სამანევრო ლოკომოტივების

უნარი	სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.	მემანქანებთან; აწარმოებს გადაზიდვითი პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ დოკუმენტაციას; უზრუნველყოფს სატვირთო სამუშაოებსა და სამგზავრო გადაზიდვებთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოებას; ხელმძღვანელობს და აწესრიგებს სალიანდაგო პარკში მატარებელთა ტექნიკური და კომერციული დათვალიერების ოპერაციების მიმდინარეობას. შეუძლია ტექნიკური მექანიკიდან – დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებში გამოყენებული აძწე-სატრანსპორტო მოწყობილობების ექსპლუატაცია; სატვირთო და კომერციული სამუშაოების მართვიდან რკინიგზის ტრანსპორტზე – სატვირთო ადგილების ტრანსპორტაბელურობის დადგენა და ტრანსპორტირებისათვის საჭირო ხარჯების გაანგარიშება; რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობის მართვიდან – სადგურის პარკების მუშაობის ორგანიზაცია და საკვანძო დისპეტჩერების მუშაობა; რკინიგზის სადგურები და კვანძებიდან – მატარებელთა დაშლა-შედგენისა და მიწოდება-გამოტანის მანევრების წარმოება.
დასკვნი სუნარი	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.	შეუძლია შექმნილი ოპერატიული სიტუაციის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში პრობლემური საკითხის გადაჭრა; ტრანზიტული მატარებლებისა და კვანძში გაგადამცემი მატარებლების რეგულირების ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა; მატარებელთა მასისა და სიგრძის ოპტიმალური ნორმების დადგენა; ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	შეუძლია როგორც სპეციალისტებისათვის, ასევე არასპეციალისტებისათვის იდეებისა და საკვანძო საკითხების შესახებ ინფორმაციის პროფესიულ დონეზე გადაცემა; პროფესიასთან დაკავშირებული სიახლეების გასაცნობად თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სრულყოფილად გამოყენება; შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ლიტერატურის გაცნობა და საჭიროების შემთხვევაში ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის დამყარება.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.	შეუძლია გაიაზროს პროფესიული წინსვლის პერსპექტივები და დამოუკიდებლად დაგეგმოს პროფესიული განვითარების საფეხურები.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ პროფესიულ საქმიანობას. მკაცრად იცავს უსაფრთხოების წესებს. ახასიათებს პროფესიული ეთიკისა და მორალის პრინციპებისადმი ერთგულებას.

VIII. დასაქმების სფერო:

სალიანდაგო პოსტების, ასაქცევების, გადასასწრები პუნქტების, შუალედური სადგურებისა და სალიანდაგო პარკების მუშაობის ორგანიზება და მიმდინარე სარკინიგზო სატრანსპორტო პროცესების ოპერატიული მართვა.

IX. სწავლის შედეგების რუქა

საგნები	კოდი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
მეწარმეობის საფუძვლები	PRBEN05	X	X	X			
ინგლისური ენა B1	ENG4P07	X	X		X		
ინფორმატიკა 1	INF1P08	X	X		X		
რკინიგზის სატვირთო და კომერციული მუშაოების საფუძვლები	PBRFC05	X	X	X		X	
რკინიგზის გადაზიდვითი	PBOTP05	X	X	X		X	X

პროცესების საფუძვლები							
რკინიგზის სადგურების ტექნიკური აღჭურვილობანი	PTERS05	X	X	X			
რკინიგზის კომერციული ექსპლუატაცია	PCOOR05	X	X	X		X	
მატარებელთა მოდრობის ორგანიზაცია სარკინიგზო ტრანსპორტზე	POTRT05	X	X	X		X	X
რკინიგზის სადგურების სალიანდაგო განვითარების სქემები და მათი მუშაობის ტექნოლოგიები	PRCOC05	X	X	X			
რკინიგზის სატრანსპორტო საშუალებანი	PRTMA05	X	X	X		X	X
რკინიგზის ტექნიკური ექსპლუატაციის წესები	PRTOR05	X				X	X
სასწავლო პრაქტიკა		X	X			X	X
საწარმოო პრაქტიკა			X			X	X

**X. სასწავლო გეგმა
I სემესტრი**

ს ა გ ნ ე ბ ი	კოდი	კრედიტების რაოდენობა	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა					დამოუკიდებელი საათები	სულ საათების რაოდენობა
			საკონტაქტო საათები						
			ლექცია/პრაქტიკული სემინარი	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/ დასვენითი შეფასება		
მეწარმეობის საფუძვლები	PRBEN05	5	30/30				6/2	57	125
ინგლისური ენა B1	ENG4P07	5	/60				6/2	57	125
ინფორმატიკა 1	INF1P08	5	/60				6/2	57	125
რკინიგზის სატვირთო და კომერციული მუშაობის საფუძვლები	PBRFC05	5	15/		90		6/2	12	125

რკინიგზის გადაზიდვითი პროცესების საფუძვლები	PBOTP05	5	15/		90		6/2	12	125
რკინიგზის სადგურების ტექნიკური აღჭურვილობანი	PTERS05	5	15/		90		6/2	12	125
სულ		30	225		270		36/12	207	750

II სემესტრი

ს ა გ ნ ე ბ ი	კოდი	კრედიტების რაოდენობა	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა					სულ საათების რაოდენობა	
			საკონტაქტო საათები						
			ლექცია/პრაქტიკული /სემინარი	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/ დასკვნითი შეფასება		დამოუკიდებელი საათები
რკინიგზის სატრანსპორტო საშუალებანი	PRTMA05	3	15/15				6/2	37	75
რკინიგზის კომერციული ექსპლუატაცია	PCOOR05	8	30/15			110	6/2	37	200
მატარებელთა მომძრაობის ორგანიზაცია სარკინიგზო ტრანსპორტზე	POTRT05	8	30/15			110	6/2	37	200
რკინიგზის სადგურების სალიანდაგო განვითარების სქემები და მათი მუშაობის ტექნოლოგიები	PRCOC05	8	30/15			110	6/2	37	200
რკინიგზის ტექნიკური ექსპლუატაციის წესები	PRTOR05	3	15/15				6/2	37	75
სულ		30	195			330	30/10	185	750

შენიშვნა:

სასწავლო სემესტრი 20 კვირანია:

15 კვირა სასწავლო პროცესისათვის, 3 კვირა შუალედური შეფასებებისათვის, 2 კვირა გამოცდისათვის და განმეორებითი გამოცდისათვის.

მე-18 კვირა III შუალედური შეფასებისათვის;

მე-19 კვირა გამოცდისათვის, მე-20 კვირა განმეორებითი გამოცდისათვის (აუცილებელი 10 დღიანი ინტერვალის დაცვით).

თითოეულ საგანში შეფასებებისათვის განკუთვნილი დრო - 8 საათი.

1. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ მხოლოდ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია) და არა აქვთ სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა:

I შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

II შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

III შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

გამოცდა - 2 სთ. თეორია;

2. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია) და მხოლოდ სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა:

I შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

II შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

III შუალედური შეფასება - 2 სთ. (1 სთ. თეორია, 1 სთ. სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა);

გამოცდა - 2 სთ. (1 სთ. თეორია, 1 სთ. სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა).

XI. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- საწარმოო პრაქტიკას;
- ტესტების ჩაბარებას;
- გამოცდების ჩაბარებას.

XII. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

შეფასების ზოგადი წესები:

ხუთი სახის დადებით შეფასება:

- **(A)** - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- **(B)** - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- **(C)** - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- **(D)** - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- **(E)** - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ორი სახის უარყოფით შეფასება:

- **(FX)** - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- **(F)** - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება
- დასკვნითი გამოცდის შეფასება

შეფასების მეთოდები:

- ტესტირება;
- წერიტი დავალება
- ანგარიში/პრეზენტაცია

(სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები იხილეთ სასწავლო კურსის სილაბუსებში და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის დღიურებში (დანართი 1, დანართი 2))

XIII. სწავლების ფორმები:

თეორიული სწავლება;

პრაქტიკული მეცადინეობა;

საწარმოო პრაქტიკა.

სწავლის მეთოდები:

ჯგუფური მუშაობა; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; წერიითი მუშაობის მეთოდი; პრაქტიკული მეთოდი.

XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
მეწარმეობის საფუძვლები	იუნონა მარგალიტაძე	ინჟინერ-ტექნოლოგი
ინგლისური ენა B1	მაია დევრისაშვილი	ინგლისური ენის პედაგოგი
ინფორმატიკა 1	ელენე ოქრომელიძე	ინჟინერ-ელექტრიკოსი
რკინიგზის სატვირთო და კომერციული მუშაობის საფუძვლები	პეტრე ქენჭაძე ჯემალ მორჩილაძე	მიმოსვლის გზათა ინჟინერი რკინიგზის ექსპლუატაციის დარგში ინჟინერ-ეკონომისტი
რკინიგზის გადაზიდვითი პროცესების საფუძვლები	გრიგოლ თელია ტარიელ კოტრიკაძე	მიმოსვლის გზათა ინჟინერი რკინიგზის ექსპლუატაციის დარგში მიმოსვლის გზათა ინჟინერი რკინიგზის ტრანსპორტზე გადაზიდვის პროცესების მართვის დარგში
რკინიგზის სადგურების ტექნიკური აღჭურვილობანი	ზაზა მესხიძე ბექან დიდუბაშვილი	მიმოსვლის გზათა ინჟინერი რკინიგზის ტრანსპორტზე გადაზიდვის პროცესების მართვის დარგში მიმოსვლის გზათა ინჟინერი რკინიგზის ტრანსპორტზე გადაზიდვის პროცესების მართვის დარგში
რკინიგზის კომერციული ექსპლუატაცია	პეტრე ქენჭაძე ჯემალ მორჩილაძე	მიმოსვლის გზათა ინჟინერი რკინიგზის ექსპლუატაციის დარგში ინჟინერ-ეკონომისტი
მატარებელთა მოძრაობის ორგანიზაცია სარკინიგზო ტრანსპორტზე	გრიგოლ თელია ტარიელ კოტრიკაძე	მიმოსვლის გზათა ინჟინერი რკინიგზის ექსპლუატაციის დარგში მიმოსვლის გზათა ინჟინერი რკინიგზის ტრანსპორტზე გადაზიდვის პროცესების მართვის დარგში
რკინიგზის სადგურების სალიანდაგო განვითარების სქემები და მათი მუშაობის ტექნოლოგიები	ზაზა მესხიძე ბექან დიდუბაშვილი	მიმოსვლის გზათა ინჟინერი რკინიგზის ტრანსპორტზე გადაზიდვის პროცესების მართვის დარგში მიმოსვლის გზათა ინჟინერი რკინიგზის ტრანსპორტზე გადაზიდვის პროცესების მართვის დარგში
რკინიგზის სატრანსპორტო საშუალებანი	ავთანდილ შარვაშიძე ანტონ ბალიაშვილი	მიმოსვლის გზათა ინჟინერ-მექანიკოსი მიმოსვლის გზათა ინჟინერ-ელექტრომექანიკოსი

	მეგი პატურაშვილი	ინჟინერ-მექანიკოსი
რკინიგზის ტექნიკური ექსპლუატაციის წესები	თამაზ გრიგორაშვილი	მიმოსვლის გზათა ინჟინერ-მექანიკოსი

XV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარკინიგზო გადამზიდვის პროფესიული სწავლებისათვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

ლაბორატორიები - სარკინიგზო ავტომატიკის, ტელემექანიკის და კავშირგაბმულობის I კორპუსი, აუდ. 704; რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობის მართვის I კორპუსი, აუდ. 451.

სარკინიგზო გადამზიდვისათვის საჭირო თვალსაჩინოებანი და სადემონსტრაციო მასალა (პრეზენტაციები და ვიდეოფილმები).

XVI. საწარმოო სწავლება/საწარმოო პრაქტიკა

მემორანდუმი (იხ. დანართი 3)

XVII. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად

პროგრამის ხელმძღვანელი

ავთანდილ შარვაშიძე

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

მანანა მოისწრაფიშვილი

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანი

ოთარ გელაშვილი

მიღებულია

მოდულიზირებული სახით

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე №1 20 სექტემბერი 2013 წ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ოთარ გელაშვილი

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

გიორგი ძიძიგური